განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**განათლების ადმინისტრირება/Educational Administration**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**განათლების ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Educational Administration**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ნანა მაკარაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge ქეთევან გოლეთიანი, ასისტენტ პროფესორი, ელ.ფოსტა: ketevan.goletiani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოამზადოს განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, რომელიც: ✓ ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ორგანიზაციის მართვასა და ადმინისტრირებაში, განათლების სფეროს სამართლებრივ საფუძვლებში, განათლების პოლიტიკაში, ხარისხის მართვასა და კვლევის მეთოდოლოგიაში; ✓ აფასებს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოწვევებს, განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; ✓ აანალიზებს ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში განათლების სფეროში მიღწეულ შედეგებს, არსებულ გამოწვევებს, პროფესიული განვითარების მიმართულებით საკუთარი და გუნდის წევრების მიღწევებს; საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების მიზნით ახდენს რეაგირებას პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები	✓ ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ორგანიზაციების, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვის თეორიებში, განათლების სფეროს სამართლებრივ საფუძვლებში, სტრატეგიულ მენეჯმენტში, ორგანიზაციულ ქცევაში, კვლევის მეთოდებში, სამეცნიერო ნაშრომის წერაში, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვაში; ✓ განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიას, ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკას, კოორდინაციას უწევს მათი განხორციელების პროცესებს; ✓ ფლობს საგანმანათლებლო პროექტების მართვის ტექნოლოგიებსა და მეთოდებს; ✓ აცნობიერებს განათლების სფეროს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მნიშვნელობას და რესურსების (ადამიანური ფინანსური, მატერიალური) მართვის თავისებურებებს; ✓ აფასებს განათლების სფეროს გამოწვევებს რისკების, უწყვეტი განვითარებისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით, ახდენს მათ იდენტიფიცირებას და შეუძლია საპასუხო ცვლილებების დაგეგმვა ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით; ✓ შეიმუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიას, პროექტებს და ახდენს მათ განხორციელება-შეფასებას; ✓ უახლესი მიდგომების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას, აყალიბებს დასკვნებს, კვლევის შედეგებს ეთიკის სტანდარტების დაცვით წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას; ✓ ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში განათლების სფეროში მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით; ✓ აანალიზებს, აფასებს, გეგმავს და წარმართავს საკუთარი და გუნდის პროფესიული განვითარების პროცესს.